საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო

ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი

MES 7 17 00295950

28/03/2017

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული ამორტიზებული შენობის დემონტაჟზე

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის დირექციას

წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი გიგზავნით საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ბატონი მამუკა ბერიძის მიმდინარე წლის 28 მარტის N292313 კორესპოდენციას სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული ამორტიზებული შენობის დემონტაჟზე. (იხ. საფუძვლები)

პატივისცემით,
წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსის მ/შ ეთერი ნაჭყებია-ლექვინაძე

იმერეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი / ქალაქ
წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი
უფროსი სპეციალისტი
ეთერ ნაჭყებია

მისამართი: ქ. წყალტუბო რუსთაველის ქ. N25 ტელ: (0436) 22 24 46 ელ. ფოსტა tskaltubo@mes.gov.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 7 17 00292313 28/03/2017

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული ამორტიზებული შენობის დემონტაჟზე

წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 01/03/2017 წლის N196520 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლამ, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 29/01/2016წ. N70820 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობის ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2010წ. 22 მარტის N82 და 2010წ. 13 აგვისტოს N239 დადგენილებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შენობის დემონტაჟთან დაკავშირებული ყველა ეტაპი და საორგანიზაციო საკითხები უნდა შეთანხმდეს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

ამასთან, გაცნობებთ, რომ დემონტაჟის დასრულების შემდგომ, საჯარო სკოლამ უნდა განახორციელოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა) და ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინოს საქართველოს განათლებისა და მენიერების სამინისტროში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის შემდგომ დაგეგმილია მშენებლობის პროცესი, ზემომოთხოვნილი ცვლილებები უნდა განხორციელდეს მშენებლობის პროცესის დასრულების შემდეგ და სამინისტროში წარმოდგენილ იქნას საჭირო დოკუმენტაცია.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32)2 200 220

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ბერიძე მამუკა

ადრესატები: **საქმისწარმოების სამმართველო ადმინისტრაცია**